პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 დეკემბერი ხუთშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 301 (16122)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ხაშურის რაიონის ხურამის კოლმეურნეობის მებოსტნე ნ. ბლიაძე, თელავის № 6 მექანიზაციის სამმართველოს მეექსკავატორე მ. ხელიაშვილი, თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ მეყალიბე ბ. კუბრანიძე, ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე ა. ფიფიაშვილი, ახმეტის რაიონის ქისტაურის საბჭოთა მეურნეობის მეაბრეშუმე ო. აივაზაშვილი, წულუკიძის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მუშა ა. კაკაბაძე, ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ცეცხლაძე. ვ. გენგიშერის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1974 წლის 25 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და პლენუმის დადგენილებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. მ. ჯაფარიძემ.

ინფორმაცია საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ გააკეთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ამხ. ფ. ა. ანანიაშვილმა.

ამ საკითხებზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები: პ. ბ. ბილაშვილი — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ა. პატეიშვილი — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ო. ვ. მელქაძე — პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ზ. ხ. ავიძბა — პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი, შ. კ. შარტავა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, შ. კ. ჯოხაძე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი, ბ. ბ. ბამცემლიძე — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, ვ. ი. კობახიძე — პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. ბოროდავკა — ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელე, ვ. ვ. მახალდიანი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, დ. ლ. ქართველიშვილი — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ვ. ლ. ბატიაშვილი — პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი, ბ. ს. სააკიანი — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ნ. ა. მეძმარიაშვილი — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. (საქინფორმი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რიონის ჰიდროელექტროსადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში დიდი დამსახურებისათვის რიონის ჰიდროელექტროსადგური დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ალფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვეტენაძე

თბილისი. 1974 წლის 25 დეკემბერი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 დეკემბრის გრძანებულებით რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ რიონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მუშა-მოხამსახურეები:

გამრეკლიძე შოთა სიმონის-ძე — რიონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის გაყოფილების უფროსი;

გოცირიძე დავით ერმალოს-ძე — კადრების უფროსი ინჟინერი;

გურგენიძე გიორგი მიხეილის-ძე — საამქროს უფროსი;

დოლიძე გრიგოლ ივანეს-ძე — დირექტორი;

ომელჩენკო ვიქტორ ათანასეს-ძე — ლაბორატორიის უფროსი;

უგრეხელიძე თამარ ნესტორის ასული — მდივანი-მემანქანე;

ფურცხვანიძე ვასილ ნიკოლოზის-ძე — მოტორისტი;

ჩიხლაძე კონსტანტინე ალექსის-ძე უფროსი მექანიკოსი;

ძიძიგური იპოლიტე ყარამანის-ძე — მექანიკური საამქროს ხარატი;

წულაძე გიორგი მასიკოს-ძე — მორიგე ინჟინერი.

საპატიო წოდებების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 დეკემბრის გრძანებულებით რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ბოლქვაძეს ალექსი სპირიდონის-ძეს — სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინერს;

იაშვილს გრიგოლ ვარლამის-ძეს — რიონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მორიგე ინჟინერს;

ნიკოლაიშვილს გვდეონ პავლეს-ძეს — ელექტრომექანიკური საამქროს უფროსს;

შეყრილაძეს ქუჩი დიმიტრის-ძეს — მთავარ ინჟინერს;

ჯოგლიძეს კაპიტონ სევასტის-ძეს — პენსიონერს.

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის:

ბახტაძეს ამბერკი ვლადიმერის-ძეს — ელექტრომონტიორს;

გურგენიძეს ვარდენ ევგენის-ძეს — ჰიდროტექნიკური საამქროს უფროს ოსტატს;

ვაშაკიძეს ივანე ილარიონის-ძეს — მექანიკური საამქროს უფროს ოსტატს;

კვინიკაძეს ვასილ მოსეს-ძეს — მონტიორს;

მამრიკიშვილს დავით გიორგის-ძეს — ელექტრობრიგადის უფროს ოსტატს;

მელნიკოვს გერმანე ალექსის-ძეს — უფროს ელექტრომონტიორს;

ულენტს მიხეილ სიოს-ძეს — ჰიდროტექნიკური სამსახურის ზეინკალს;

სინატაშვილს გრიგოლ კონსტანტინეს-ძეს — ელექტროსაამქროს ელექტრომონტიორს;

სინატაშვილს ვალერიან ვასილის-ძეს მოტორისტს;

სულამანიძეს გრიგოლ ეფრემის-ძეს — ჰიდროტექნიკური საამქროს ზეინკალ-შემდუღებელს;

ყუბანეიშვილს იაშა კონსტანტინეს-ძეს — ავტოგარაჟის ზეინკალ-მექანიკოსს;

შანიძეს შარდენ პავლეს-ძეს — უფროს მემანქანეს;

ჩხიკვაძეს ადალიკო ნესტორის-ძეს — ელექტროსაამქროს ელექტრომონტიორს.

ნაჭაძეს ალექსანდრე კონსტანტინეს-ძეს — კომუნალური გაყოფილების ზეინკალს;

წოწორავას რაჟდენ ივანეს-ძეს — უფროს მექანიკოსს.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ბ. შეფერს

24 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ეკონომიური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომიტეტის იუგოსლავიის წევრის თავმჯდომარე ბ. შეფერი და ესაუბრა მას. საუბრის დროს განიხილეს 1975 წელს და მომავალ ხუთწლეულში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის საკითხები.

საუბარში, რომელმაც კეთილმეგობრულ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვ. უბიპარიპი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. პეშიჩი.

ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ 5 ᲓᲦᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივმა ვადამდე დაამთავრა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმა. საწარმოს პროდუქცია იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, აგრეთვე საზღვარგარეთის 26 სახელმწიფოში.

ქარხნის საუკეთესო ახალგაზრდა მუშებს შორის ასახელებენ მგრაგნელს გულნაზი ხაჩვანს. გულნაზიმ ორი წლის წინათ დაამთავრა საშუალო სკოლა მესტიაში და მუშაობა ტრანსფორმატორების ქარხანაში დაიწყო. კომკავშირელი გოგონა მალე დაეუფლა მუშაობის მოწინავე ხერხებს. ახლა იგი მომავალი წლის ანგარიშში შრომობს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: გ. ხაჩვანი.

გ. გერასიმეს ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲧᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ — ᲛᲬᲘᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲬᲘᲠᲘ!

თბილისის შემხვედრი გეგმა

24 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა თბილისის მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმისა და ქალაქის ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დებულებებითა და დასკვნებით, გაამრავლებს შეცადინეობას მეცხრე ხუთწლედის წარმატებული დამთავრებისათვის ბრძოლაში, კომუნისტური შშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული ახალი მიღწევებით შეეგებება სკკპ XXV ყრილობას.

გაიმართა აგრეთვე დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო აქტივის კრება. განიხილეს და მიიღეს თბილისის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების 1975 წლის შემხვედრი გეგმა. იგი შემუშავებულია წარმოების შინაგანი რეზერვების ფართო ძიების საფუძველზე და მას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისის კომუნისტებმა. ყველა მშრომელმა.

აქტივის ტრიბუნიდან ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის დირექტორმა ა. ბუაძემ, კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის დირექტორმა გ. შენგელიამ, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ პარტიული კომიტეტის მდივანმა მ. გელეიშვილმა თავიანთი კოლექტივების სახელით განაცხადეს, რომ საწარმოთა მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲑᲔ:

სახელმწიფო დავალებათა გადამეტებით დაამზადონ და გაასაღონ 21 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, ნაწარმის მთელი მატება მიიღონ შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად;

სახელმწიფო დავალებათა გადამეტებით გამოუშვან ერთი ხმრეწველო ელმავალი, ოცი ლითონსაჭრელი ჩარხი, ხუთი ერთეული სამსხმელო მოწყობილობა, რამდენიმე ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა „მ-6000“, ასეული ათასობით მანეთის სატელეგრაფო აპარატურა, 2,5 მილიონი ცალი სილიკატური აგური, 40 ათასი მეტრი აბრეშუმის და 33 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, 100 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 900 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 80 ათასი წყვილი წინდა, 150 ტონა დაფასოებული ჩაი, 200 ათასი ბოთლი შამპანური, ათასი დეკალიტრი ღვინო, აგრეთვე ბევრი სხვა სახეობის პროდუქცია. დამატებით აწარმოონ 4 მილიონი მანეთის მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადასცენ 15 ათასი კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობი.

შემხვედრი გეგმების შესრულება მრეწველობაში უზრუნველყოფილი იქნება საწარმოთა რეზერვების საუკეთესო გამოყენების, წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნედლეულისა და მასალების ყაირათიანად ხარჯვის გზით.

შემხვედრი გეგმა ითვალისწინებს სამინისტროების გეგმებთან შედარებით ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს, საქალაქო მეურნეობის, მაჩვენებლების მნიშვნელოვან გადიდებას.

შემხვედრი გეგმების განხორციელება ხელს შეუწყობს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას, ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

(საქინფორმი).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ-ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

1975-ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ

კომუნიზმის ქებათა-ქება

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ქართულად

პოლიტიკური ლიტერატურის წიგნის თაროზე გამოჩნდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოშვებული კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის უკვდავი ნაშრომი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თვალიანლის განმარტებაში ნათქვამია, რომ:

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ამ გამოცემას საფუძვლად უდევს 1890 წლის გერმანული გამოცემის ტექსტი. ფ. ენგელსის რედაქციით გამოცემული წინა გერმანული გამოცემებისა და 1888 წლის ინგლისური გამოცემის უმნიშვნელოვანესი განსხვავებული ადგილები მოყვანილია რედაქციის მიერ დართულ სქოლიოებში. ტექსტს ერთვის აგრეთვე შენიშვნები, რომლებიც ფ. ენგელსმა დაუკითა 1888 წლის ინგლისურ და 1890 წლის გერმანულ გამოცემებს.

წინამდებარე ქართული გამოცემის ტექსტი და „მანიფესტის“ ყველა წინასიტყვაობა შედარებულია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მე-2 რუსული გამოცემის მე-4 ტომის ტექსტთან.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ამ ნაწარმოებში გენიალური სიცხადით და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა“ (გვ. 61).

წიგნი დასურათებულია („კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ 1848 წლის გერმანული გამოცემის გარეკანი, „მანიფესტის“ 1905 წლის ქართული გამოცემის გარეკანი, „მანიფესტის“ ქართული გამოცემები) და, საერთოდ, ტექნიკურად და მხატვრულად ლამაზად არის გაფორმებული.

„მანიფესტის“ ეს გამოცემა მართლაც რომ სამაგიდო წიგნია.



ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

● ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის მშრომელებმა გადაკარბებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წლის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. ნაცვლად 825 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 990 ტონა ხორცი, 1.933 ტონრძე ნაცვლად 1.740 ტონისა, 701 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 650 ათასი ცალისა. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ღლონტმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ებრალიძემ.

● ᲒᲐᲚᲘ. კოხორის ციტრუსეების საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე ერთი წლით ადრე გაანაღდა ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა. ოთხ წელში მოკრიფა და სახელმწიფოს მიყიდა 8.680 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ეს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულს 180 ტონით სჭარბობს. მარტო წელს სახელმწიფოს მიეყიდა 280 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 260 ტონისა. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს მეურნეობის დირექტორმა გ. ჩაჩიბაიამ, პარტორგანიზაციის მდივანმა ს. ხვისტანმა, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ტ. უბილავამ.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

რიონის ჰიდროელექტროსადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში დიდი დამსახურებისათვის რიონის ჰიდროელექტროსადგური დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ალფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვეტენაძე

თბილისი. 1974 წლის 25 დეკემბერი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 დეკემბრის გრძანებულებით რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ რიონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მუშა-მოხამსახურეები:

გამრეკლიძე შოთა სიმონის-ძე — რიონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის გაყოფილების უფროსი;

გოცირიძე დავით ერმალოს-ძე — კადრების უფროსი ინჟინერი;

გურგენიძე გიორგი მიხეილის-ძე — საამქროს უფროსი;

დოლიძე გრიგოლ ივანეს-ძე — დირექტორი;

ომელჩენკო ვიქტორ ათანასეს-ძე — ლაბორატორიის უფროსი;

უგრეხელიძე თამარ ნესტორის ასული — მდივანი-მემანქანე;

ფურცხვანიძე ვასილ ნიკოლოზის-ძე — მოტორისტი;

ჩიხლაძე კონსტანტინე ალექსის-ძე უფროსი მექანიკოსი;

ძიძიგური იპოლიტე ყარამანის-ძე — მექანიკური საამქროს ხარატი;

წულაძე გიორგი მასიკოს-ძე — მორიგე ინჟინერი.

სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა სრულიად საკავშირო თათბირი

24 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომლის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ამ პლენუმზე.

თათბირზე იხილავენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანობის გადიდების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებს. აღნიშნავენ, რომ დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სპეციალიზაციის ზონების დაზუსტების, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების განლაგების ადგილების არჩევის დროს.

თათბირის მონაწილენი, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს, შეიმუშავებენ საასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური ზეგავლენის გაძლიერების პრაქტიკულ ღონისძიებებსა და რეკომენდაციებს.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი დ. ს. პოლიანსკი. (საკავშირო).

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია გაიხსნება დღეს, 26 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 26 დეკემბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

ერთსულოვანი მოწონება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, 1975 წელს ეგებება მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ნიშნით, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის აღმფრთოვანებელი შედეგებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვით.

წარმავალ 1974 წელს ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა, მთლიანად, წარმატებით შეასრულეს სახელმწიფო საგეგმო დავალებანი, შემხვედრი გეგმები, მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ნაყოფიერი მუშაობის მეოხებით მეტი გაქანება ეძლევა ახალ საბინაო მშენებლობას, ვითარდება საქალაქო მეურნეობა, უმჯობესდება თბილისის მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით და მასობრივი მოთხოვნილების საქონლით.

ყოველივე ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა თბილისის მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმისა და ქალაქის ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმმა მოისმინა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ვ. გუგუნავას მოხსენება „თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმის პროექტის შესახებ“ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამის კ. სოხაძის მოხსენება „ქალაქ თბილისის 1975 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“. მომხსენებელმა და ამ საკითხზე გამართული კამათის მონაწილეებმა — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ალავიძემ, საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გ. მინდელმა, ფაბრიკა „კრწანისის“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა მ. აბულაძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციათა და საწარმოთა მთავარი სამმართველოს უფროსმა ვ. ტურძელაძემ, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯანჯღავამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ა. გუნიამ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩიკვაიძემ, ფოლად-თუჯასამსხმელო ქარხნის დირექტორმა გ. ანჩაბაძემ, „თბილმრეწმშენის“ № 3 ტრესტის პარტკომის მდივანმა ჯ. დიდიძემ, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ენდელაძემ, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეგრაგნილეთა ბრიგადირმა ვ. დავიდოვმა, ქალაქთბილისის მშრომელთა დეპუტატების საქარხნო რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ხომერიკმა ილაპარაკეს იმაზე, რომ ორ წელიწადნახევარი, რომელიც გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, რომელიც მოქმედების სახელმძღვანელო გახდა საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციისათვის, გარდამტეხი ეტაპი იყო რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. კურსმა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აიღო პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისათვის, კიდევ უფრო ამაღლა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონე, არსებითად გააჯანსაღა ქალაქის მშრომელთა მორალურ-პოლიტიკური განწყობილება, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში არსებული ჩამორჩენის დაძლევის სტიმული გახდა.

პლენუმის მონაწილეებმა ილაპარაკეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, დაასახელეს ჩამორჩენილი უბნები და რგოლები, ამასთან აღნიშნეს, რომ არსებობს დიდი გამოუყენებელი რეზერვები და ხაზი გაუსვეს, რომ ქალაქის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ძალების მნიშვნელოვანი დაძაბვა, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, მიღწევებისა და წამოჭრილი პრობლემების კრიტიკული ანალიზი, შესრულების ზუსტად ორგანიზებული კონტროლი.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს პარტიული ბიუროს მდივანმა, საქალაქო პარტორგანიზაციის სარეკვიზიო კომისიის წევრმა დ. ბედუკაძემ პასუხი გასცა კითხვებზე, რომლებიც თავის გამოსვლაში დააყენა ფაბრიკა „კრწანისის“ მუშამ მ. აბულაძემ.

პლენუმის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გილამეიმლა.

მიღებულ დადგენილებაში პლენუმმა დედაქალაქის ყველა კომუნისტის სახელით მოიწონა ქალაქ თბილისის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობს, გაამრავლებს დონისძიებებს მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის ბრძოლაში, კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული ახალი მიღწევებით შეხვდება სკკპ XXV ყრილობას.

(საქინფორმი).

23 და 24 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის არქიტექტორთა X ყრილობა. ყრილობა გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა ხუროთმოძღვარმა, სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორმა, სახელმწიფო პრემიის laureatma ა. ქურდიანმა.

დელეგატებმა აირჩიეს პრეზიდიუმი, სამანდატო და სარედაქციო კომისიები. შეკრებილთა ტაშს გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. გილამეიელი, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, ო. ჩერქეზია, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ლაბახუა, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე გ. ორლოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ქედიშვილი, რესპუბლიკის მინისტრები, წამყვანი არქიტექტორები, საარქიტექტო და სამშენებლო ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, მოსკოველი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ესტონელი, ლიტველი, ლატვიელი, მოლდაველი სტუმრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის არქიტექტორთა X ყრილობისადმი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის სანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ი. ჩხენკელმა.

ამ დღეებში, როცა მიმდინარეობს საქართველოს არქიტექტორთა X ყრილობა, — თქვა მან, — მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება უბატაკოს სამშობლოს მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულება. ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ადაფრთოვანეს ახლახან გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII და XIV პლენუმების გადაწყვეტილებებმა, თავდადებით შრომობენ, რათა პირნათლად შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

საანგარიშო პერიოდში ქართველ არქიტექტორთა პროექტებით აშენდა თბილისის მეტროპოლიტენის მთელი რიგი სადგურები, სასტუმრო „ივერია“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი, სახელმწიფო ფილარმონიის კინოსაკონცერტო დარბაზი, საკადრაკო-ლაპიერი კლუბი, რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო და სხვა შენობები, რომლებმაც საეკიალისტთა და ხალხთა გადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საქართველოს არქიტექტორები საანგარიშო პერიოდში იღვწოდნენ საპროექტო სამსახისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ეძებდნენ და იყენებდნენ ახალ პროგრესულ სამშენებლო კონსტრუქციებს, მასალებსა და შენობათა ავგების მეთოდებს, ცდილობდნენ გაეუმჯობესებინთ ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარებისა და განაშენიანების მხატვრულ-ესთეტიკური ღირსება.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე რესპუბლიკის არქიტექტორთა ცხოვრებაში ერთ-ერთი ძნიშნელოვანი მოვლენაა 2000 წლამდე პერსპექტიული საპროექტო გადაწყვეტანი. საჭიროა ვაწარმოოთ არქიტექტურული პროგნოზირება.

პირველ რიგში საპროექტო ინსტიტუტებმა უნდა შეეცალონ დამოკიდებულება თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობისადმი, აამღლონ პასუხისმგებლობა სამეშაოთა ხარისხისათვის, უფრო მეტად იზრუნონ სახელმწიფო სახსრების მომჭირნედ გამოყენებისათვის. მნიშვნელოვნად უნდა ავამაღლოთ არქიტექტურის ხარისხი, შეეცალოთ მიდგომა ტექნიკური საკითხების გადაჭრისადმი, ბოლო მოვუღოთ პასიურ დამოკიდებულებას არქიტექტურისა და მშენებლობის ურთიერთობის პრობლემისადმი.

დღეს თავს ვერ გავიმართლებთ ტიპობრივი პროექტების ცუდი ხარისხით, სამშენებლო ინდუსტრიის ჩამორჩენით, კონსტრუქციებში შეზღუდვებით, სამშენებლო მასალების უქონლობით და სხვ., რადგან ჩვენ მშენებლებთან ერთად უნდა ვიყოთ ჩამოთვლილი საკითხების დაყენებისა და გადაჭრის ინიციატორები.

ყრილობაზე ითქვა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა რესპუბლიკის მთელი რიგი საპროექტო ინსტიტუტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანონ ანკეტიდან და განახორციელონ კარდინალური ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კამათში მონაწილეობდნენ ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი თ. თეფნაძე, აფხაზეთის ასსრ სახმშენის თავმჯდომარე ს. ცინცაბაძე, საქართველოს სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ხარატიშვილი, თბილისის საქალაქო საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი გ. ძარღანაშვილი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის სექციის თავმჯდომარე დ. კომახიძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტთან არსებული არქიტექტურული სახელოსნოს არქიტექტორი ვ. დავთაია, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ო. ბიბილეიშვილი, არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის საქალაქო ინსპექციის უფროსი თ. ვაჩნაძე, თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ო. თუხარელი, საქართველოს სსრ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ლოლაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი ი. ზაალიშვილი, საქართველოს ეკოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ვ. ჯოშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკონომიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ვ. ჯოშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი მ. ჩიკოვანი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვ. გოლუაძე, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თავადი არქიტექტორი მ. მიქაძე, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. ულასი, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე ი. ციციშვილი, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე გ. ორლოვი.

ყრილობას მიესალმნენ უკრაინის არქიტექტორთა [illegible] ... ერის არქიტექტორთა [illegible] ... ბინ არქიტექტორთა [illegible] ... კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. პოლოსიანი, სსრ კავშირის არქიტექტორთა [illegible] ... კავშირის მოსკოვის ორგანიზაციის გამგეობის წევრი ვ. ცილეკი, მოლდავეთის არქიტექტორთა კავშირის ახალგაზრდული სექციის თავმჯდომარე ი. გრიცენკო, აზერბაიჯანის სსრ „ცენტროსოიუზსაპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ქ. რაგიმოვი, ლატვიის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი ვ. ვანსეკალნე.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა.

ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ვ. ალალიძემ, მოისმინეს და დამტკიცეს ავრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ნ. შონტაშვილმა.

ყრილობამ საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის საქმიანობა დადამაკმაყოფილებლად ცნო.

ყრილობამ აირჩია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა, [illegible] ... ეს ნ. ჩხენკელი, მოადგილეებად ა. ბახტაძე, ვ. დავითაია, ს. კინწურაშვილი და თ. ჩიჩუა. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის სარედაქციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ა. ბოლოტნიკოვი.

გაიმართა რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელზეც გამგეობის თავმჯდომარედ აირჩეს ი. ჩხენკელი, მოადგილეებად ა. ბახტაძე, ვ. დავითაია, ს. კინწურაშვილი და თ. ჩიჩუა. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის სარედაქციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩეს ა. ბოლოტნიკოვი.

საქართველოს არქიტექტორთა ყრილობა

ახალგაზრდა გეოლოგთა კონფერენცია

თანამედროვე პირობებში რესპუბლიკის გეოლოგების წინაშე ჯდგომ პასუხსაგებ ამოცანებს მიეძღვნა „საქგეოლოგიის“ ახალგაზრდა სპეციალისტთა პირველი გეოლოგიურ-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში მოაწყო საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს ახალგაზრდა სპეციალისტთა ცენტრალურმა საბჭომ. გეოლოგთა ამ ფორუმში მონაწილეობდნენ უფროსი და საშუალო თაობების სპეციალისტებიც.

კონფერენციაზე, რომელიც შუადღის სიტყვით გახსნა საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს თავმჯდომარე გეოლოგმა ჯ. დოლიძემ, გაშუქებულ იქნა მრავალი აქტუალური საკითხი. მოხსენება თემაზე — „ბოლნისის მაღნიანი რაიონის ახალი მადანგამოვლინების ფორმირების პირობები“ — გააკეთა კომპლექსური გეოლოგიური საძიებო ექსპედიციის უბნის უფროსმა რ. ჩიქოვანმა, „გამადნების გეოლოგიური პოზიცია და მადნეულ სხეულების სტრუქტურულ-მორფოლოგიური ტიპები მადნეულის, ქვემო ბოლნისისა და წითელსოფლის ფერადლითონების საბადოზე“ — გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის უფროსმა გეოლოგმა მ. ტყემალაძემ.

„აერო“ და კოსმოსური გადაღების მასალების გამოყენების მდგომარეობა და პერსპექტივები „საქგეოლოგიის“ გამოკვლევებში“ — ასეთი იყო თემა მოხსენებისა, რომლიც კომპლექსურ-თემატიური გეოლოგიურ-გეონომიური პარტიის უფროსი გეოლოგი ა. მოსულიშვილი გამოვიდა, ხოლო ზოგიერთ საბადოთა გენეტიკური ტიპებისა და კოდნარულს საბადოს შესახებ — უბნის უფროსი თ. გავაშელი. „ფინეალ-გომშორის ქვეშა ნეტ ტექტონიკური განვითარება ლიახვისა და ირის შუამდინარეთის ზეგანზე“ — ამ სახელწოდებით ... ...

მსოფლიო დღეს

გვატყობინებენ საკავშირო და უცხოეთის პრესის სააგენტოებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

...სსრ კავშირის მოქალაქის ახალი პასპორტი

...ფაიკითხეთ, შური... აღივსეთ! ...ბოთა კავშირის ვარ მოქალაქე!" ...ბოტური სტრიქონი, რომელიც ...ხატავს საბჭოთის მოქალაქის ...ონიერ სიამაყეს, გასცენდეია უფ...ედ, როცა ხელში იღებ ახალ ...თელყდიან წიგნაკს", რომელსაც ...ვის საღებავის სუნი დაკრავს.

...თავფურცელზე წარწერილია: ...ბჭოთა სოციალისტური რესპუბლი...ის კავშირის მოქალაქის პასპორ...". ასეთ პასპორტს 1976-1981 ...ებში მიიღებს სსრ კავშირის ყვე...ა მოზრდილი მოქალაქე.

...ასლა, ახალი ნიმუშის პასპორტის ...ების დაწყებამდე ერთი წლით ...ოა, იგი შეიძლება ნახოთ მხოლოდ ...ოკოვში, ოგარიოვის ქუჩაზე № 6 ...ში, სსრ კავშირის შინაგან საქ...ა სამინისტროში. აქ საკდესის ...ებში შეიკვდა სსრ კავშირის ...ოგან საქმეთა მინისტრის პირველ ...ოგილეს მ. ს. პაპუტინს.

...ს. ს. პაპუტინმა სეიფიდან გამოი...ა პასპორტის ნიმუში, და ფოსტი...ი დადო წიგნაკი საწერ მაგიდაზე. ...ეი ისიც, მომავალი პასპორტი. ...ეკ-ფოთელ ყდაზე ოქროთი ამო...ფერულია ჩვენი ქვეყნის გერბი ...ა წარწერები: გერბის ქვეშ — ...რ", უფრო ქვემოთ — „ПАСПОРТ". ...ასდა და ლამაზია ჩვენი მომავალი ...პასპორტი.

— ყველა ვინც დოკუმენტის ნი...ის შექმნისათვის მუშაობდა, — ...ა ვ. ს. პაპუტინმა, — ესწრაფ...და, რომ იგი თანამედროვე ეს...ტიკური მოთხოვნილებების შესაბა...ი ყოფილიყო.

— პასპორტების გამოცვლა იწყ...ებს სსრ კავშირში საპასპორტო ...ტემის შესახებ დებულების შემო...ბასთან დაკავშირებით. რამ გა...წვია ახალი დებულების საჭიროე...?

— ცხოვრებამ. რაოდენ დიდი სო...ციალურ-ეკონომიური ცვლილებ ა ნ ...ოდა ამ ხნის მანძილზე! ვითვისებთ ...ა ვავითარებთ ახალ ეკონომიურ ...ონებს, მიმდინარეობს დიდძალი ...ასახლეობის გადაადგილება, იქმნება ...ალი ქალაქები და სამრეწველო ცენ...ები. ყოველივე ამან მოითხოვა შე...ამის ცვლილებათა შეტანა საპასპო...ო სისტემაში, რათა იგი კიდევ ...რი სრულად შეესაბამებოდეს თა...ედროვე ეტაპზე კომუნისტური ...ნებლობის ამოცანებს. საპასპორტო ...ემა მოწოდებულია უფრო ოპ...ტიულად შეუწყოს ხელი მოქალა...ის თავიანთ უფლებათა განხორ...ებებში, სახელმწიფოსთან და ...ოგადოების წინაშე თავიანთი მო...ეობათა შესრულებაში, უზრუნ...ყოს მოსახლეობის გადაადგილე...ა აღრიცხვა სასაღხო მეურნეობის ...ედმის ინტერესებისათვის, ემსა...ოს სოციალისტური კანონიერები...ა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს.

— ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ პასპორტი საკმაოდ ხშირად გვჭირდება. იგი გვჭირდება ჩაწერიაა და ამოწერის, ასასწავლებელში მესვლისა თუ სამუშაოზე მოწყობის, ქორწინების რეგისტრაციის დროს. საფოსტო უწყებები მოკითხვამდე მოსულ გზავნილებს, წერილებსა და დეკანშებს არ იძლევიან პასპორტის წაოუდებელად. იკვლება თუ არა პასპორტის ეს ფუძეცეები? რა სიახლეს ითვალისწინებს დებულება?

—ჩვეი პაასპორტი საშინაო პასპორტია სსრ კავშირში. ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოქალაქეთა პიროვნებას, ძის მფლობელს უადგილებს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სოციალურ და სამართლებრივ ფუნქციათა განხორციელებას, მათ შორის იმ ფუნქციებისა, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ. ამ მხრივ ახალი პასპორტის ფუნქციები არ შეცვლილა.

1976 წლის 1 იანვრიდან პასპორტს მიიღებს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, ვინც 16 წლის ასაკს მიაღწევს, ამასთან სამუდამოდ.

პასპორტში აღნიშნულია გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, ეროვნება. აღნიშნული იქნება ქორწინების ან განქორწინების რეგისტრაცია, შვილების რაოდენობა, სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულება, საცხოვრებელი ადგილი. სისხლის ჯგუფისა და რეზუსის შესახებ აღნიშვნა შეაქვთ მხოლოდ სამკურნალო დაწესებულებებს და მწოლოდ მოქალაქეთა სურვილისამებრ.

პასპორტები მზადდება მთელი სსრ კავშირისათვის ერთიანი ნიმუშით რუსულ ენაზე და მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკისათვის — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე.

...ვფურცლავ ახალ პასპორტს, რომლის გარეკანი დამზადებულია სანგრძლივი სარგებლობის დოკუმენტისათვის ბაკუთვნილი მუქი-წითელი საკაზმავი მასალისაგან. პასპორტის სამ ფურცელზე სამი ჩარჩოა ფოტოსურათებისათვის. ეს პასპორტი ხომ მუდმივი სარგებლობისაა. ამიტომ მასში იქნება მფლობელის ფოტოსურათები 16 წლის, 25 და 45 წლის ასაკისა. მომდევნო ფურცლებზე მონაცემები შვილების, ოჯახური მდგომარეობის, სამხედრო ვალდებულების, საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ბოლო ფურცლებზე ვეცნობით ნაწყვეტებს დებულებიდან სსრ კავშირის საპასპორტო სისტემის შესახებ.

ასეთია ჩვენი ახალი ნამგალ-ურიანი საბჭოთა პასპორტი.

ვ. იტკინი.

ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით

საზღვარგარეთის პრესა კვლავ უძღვნის კომენტარს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციისათვის მოსამზადებელი შეხვედრის შედეგებს, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ბუდაპეშტში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ შეხვედრა გადაიქცა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთიანობისა და ძალის მანიფესტაციად.

ბუდაპეშტი. კომუნისტურ მ ა პარტიებმა, სოციალისტურმა ქვეყნებმა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენს კოლექტივს კოლექტიური უკიმრეობის მოჯნისათვის მიეღწია, წერს გაზეთი „ნეფსაბადშაგი" მოწონავე სტატიაში, რომლის სათაურია „შვედეთისა და პოროგრესის ევროპისათვის". მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგე ძალები არც ისე იოლად თმობენ პოზიციებს. სწორედ ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ დღევანდელი ხელსაყრელი შესაძლებლობანი, რომელთა აუცილებელი პირობაა კომუნისტური პარტიების ერთიანობა, მათი ურთიერთსოლიდარობა, ერთობლ ივ ი ბრძოლა, პრინციპი ერთი ყველისათვის და ყველა ერთისათვის.

ვარშავა. სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა ის თმამაგონებელი ძალაა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს კონტინენტსა და მთელ მსოფლიოში ცვლილებათა პროცესის სტრატეგიულ მიმართულებებს, აღნიშნავს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ". ამის დამადასტურებელი მაგალითია კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციისთვის მოსამზადებელი შეხვედრა, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართა. შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა კონფერენციისათვის მზადების საქმეში, და ამავე დროს მან ნათლად მეუწყო ევროპის კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას.

პრაღა. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, წერს გაზეთი „რუდე პრავო", რომ შეხვედრის შედეგები ყველ თვალსაზრისით ახალი დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. შეხვედრის მუშაობის მდელმი მსვლელობამ დაადასტურა, რომ ევროპის მოძმე პარტიათა ერთიანობა კვლავ მტკიცდება და ღრმავდება. ამ შეხვედრამ აგრეთვე კვლავ გვიჩვენა, რომ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მზადების თვით პროცესი, შეხედულებებისა და გამოცდილების გაზიარება იწვევს გახლოესებას საკითხებზე პოზიციათა დაახლოებას.

პარიზი. „ლუმანიტე" აბნილებს ზოგიერთი ბურეუაზიული ჟურნალისტის ცდებს სასურველი სინამდვილად გასაღონ ნ ა ბ ...ბ ...ბ ...

პედაგოგი და მეცნიერი



ი. გვარჯალაძის დაბადების 75 წლისთავის გამო

□

გამოჩენილ მკვლევარსა და ლექსიკოლოგს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს — პროფესორ ისიდორე ხილოვანის-ძე გვარჯალაძეს დაბადების 75 და მეცადინეობა-მეცნიერული მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა. ხუთი ათეული წელია იგი ემსახურება ქართული კულტურის დიდმნიშვნელოვან საქმეს, მისმა სტატიებმა, გამოკვლევებმა, სახელმძღვანელოებმა და ლექსიკონებმა მრავალი ახალი აზრი დაბადა თავის გაშუალთ და უმაღლეს სასწავლებლებში, დიდი იარაღი შეეძინა უცხო ენების სპეციალისტებს, მათ შორის ბევრმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაციი ფრანგული და ინგლისური ენების დარგში.

ი. გვარჯალაძე დაიბადა 1899 წლის 15 მაისს სოფ. ჯონებისკარში (მახარაძის რ.) ღარიბი გლეხის ოჯახში. ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 15 წლის ჭაბუკი მისეულ თუშანიშვილის რჩევით სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება საფრანგეთში, მაგრამ მას მოუსწრო პირველმა მსოფლიო ომმა და 1916 წელს დაბრუნდა სამშობლოში.

მომავალ მეცნიერს გასაჭირი მიეცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პროფ. ი. გვარჯალაძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული სტატია, მეცნიერული გამოკვლევა (ინგლისური და ფრანგული ენების დარგში), სახელმძღვანელო და ლექსიკონი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ი. გვარჯალაძის დიდი დამსახურება ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში საზღვარგარეთ, მისმა გამოკვლევებმა, სახელმძღვანელოებმა და ლექსიკონებმა დიდი დასმარება გაუწია უცხოელებს ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. უცხოელი ქართველოლოგები თვიანთ სტატიებში არაერთგზის მიუთითებენ ქართველი მეცნიერის დამსახურებაზე ამ დარგში და დიდ მადლობას უძღვნიან ავტორს. პროფ. ი. გვარჯალაძე სისტემატურად ლიტულობს დაკვეთებს ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან, შვეიცარიიდან და სხვა ქვეყნებიდან. მეცნიერი არ ზოგავს თავის ენერგიას იმისათვის, რომ მათ დროულად მიაწოდოს საჭირო ლიტერატურა. მას უცხოთიდან ხშირად მოსდის ბარათები, რომლებშიც უცხოელი მეცნიერები მადლობენ შეიძლებ. ამ დღეებში ამ ძველების გვერდით აღმოჩნდა ვერცხლისფერი ტერბორეაქტიული თვითმფრინავი.

იგი აქ დაშლილი ჩამოიტანეს, ხოლო აეწყვე მოსკოველმა ავიასპეციალისტებმა ვ. ლეონოვმა, ვ. ბიუკანმა, ნ. რიქკოვმა და ე. სიროტკინმა. თვითმფრინავი საჩუქრად გადასცეს ბათუმელ პიონერებს და იგი აქ სამუდამოდ დარჩება.

როგორ მოხვდა ეს თვითმფრინავი ბათუმში და ვინ აჩუქა იგი პიონერებს?

16 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი ორმევნების დროს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად ბათუმის № 493 მაუმიანის საარჩევნო ოლქში აირჩიეს ავიაციის გენერალური კონსტრუქტორი როსტისლავ ბელიაევი.

წინასაარჩევნო დღეებში ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის მწვანე თეატრში ხალხის კანდიდატს შეხვდნენ ბათუმელი პიონერები და სთხოვეს... გამოეგზავნა „ნამდვილი თვითმფრინავი“. და აი აუსრულდათ კიდეც საწადელი. (საქინფორმი).

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ

□

ᲮᲣᲗᲘᲗᲝᲓᲐ დღეც და ახალი წელი შემოაბიჯებს ჩვენს ქვეყანაში. კოხტად მორთული ნაძვიხეები ელფერს მატებენ დღესასწაულს.

თბილისის მაღაზიებში გაცხოველებული ვაჭრობაა. მომხმარებელი არჩევს და ყიდულობს სხვადასხვა სახის ნაძვიხის სათამაშოებს.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ხ. კილაძემ ეს ფოტოსურათი მაშინ გადაიღო, როდესაც „ბავშვთა სამყაროს“ სათამაშოებიან სექციის გამყიდველი ნ. ნებიერიძე (მარჯვნივ) საახალწლო ხაჩუქრებს ურჩევდა მომხმარებელს.

თვითმფრინავი საჩუქრად

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. ვ. ი. ლენინის სახელობის პიონეთა და ძოსწავლეთა პარკის ერთ-ერთ მოედანზე დადგმულია დიდი სამაძულო ომის წლებში მაძაცურად დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ ოსრაფილ ჯინჭარაძისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული პირველი აკაკელი მფრინავი ქალის ფატი გოგიტიძის ბიუსტები. ამ დღეებში ამ ძეგლების გვერდით აღმოჩნდა ვერცხლისფერი ტერბორეაქტიული თვითმფრინავი.

იგი აქ დაშლილი ჩამოიტანეს, ხოლო აეწყვე მოსკოველმა ავიასპეციალისტებმა ვ. ლეონოვმა, ვ. ბიუკანმა, ნ. რიქკოვმა და ე. სიროტკინმა. თვითმფრინავი საჩუქრად გადასცეს ბათუმელ პიონერებს და იგი აქ სამუდამოდ დარჩება.

როგორ მოხვდა ეს თვითმფრინავი ბათუმში და ვინ აჩუქა იგი პიონერებს?

16 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი ორმევნების დროს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად ბათუმის № 493 მაუმიანის საარჩევნო ოლქში აირჩიეს ავიაციის გენერალური კონსტრუქტორი როსტისლავ ბელიაევი.

წინასაარჩევნო დღეებში ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის მწვანე თეატრში ხალხის კანდიდატს შეხვდნენ ბათუმელი პიონერები და სთხოვეს... გამოეგზავნა „ნამდვილი თვითმფრინავი“. და აი აუსრულდათ კიდეც საწადელი. (საქინფორმი).

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

□

მოსახლეობას — საუკეთესო სამედიცინო მომსახურება

□

მედიცინის მეცნიერებათა მიღწევების, ავადმყოფთა გამოკვლევასა და მკურნალობაში ახალი მეთოდების დანერგვის საკითხებს მიეძღვნა ამას წინათ ქ. ზუგდიდში გაბარული ზონალური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ქალაქების ზუგდიდისა და ფოთის, ზუგდიდის, აბაშის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წალენჯიხის და ხობის რაიონების მედიკოსები.

კონფერენციაზე მედიცინის აქტუალურ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ და დამსწრეთ მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს აკადემიკოსმა მ. კომახიძემ, პროფესორებმა თ. დეკანოსიძემ, ვ. ბაბუაღიამ, თ. ოხვატიძემ, ნ. ქავთარაძემ, დოცენტმა რ. სიგუამ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა ნ. ნინუამ, ო. ლენტმა ლ. ბერიამ, გ. ვასანიამ, მ. ფონიამ, ა. კაკულიამ, კ. გაგუამ, ეკიმებმა მ. თოფურიამ, ნ. აბაშიძემ, გ. დონაძემ, ი. კიზირიამ, ნ. პაპკორიამ, ზ. შავთავამ, გ. დგებუაძემ, გ. კვარაცხელიამ.

მოხსენებათა განხილვისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით გამართული საქმიანი კამათის შემდეგ მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა სტაციონარსა და ამბულატორიაში ავადმყოფებს გაუწიეს კონსულტაციები, ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს მისცეს სათანადო რჩევა-დარიგება ავადმყოფთა გამოკვლევასა და მკურნალობის გაუმჯობესების საქმეში.

ზონალურ სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია სათანადოდ დაეხმარა ადგილობრივ მედიკოსებს თანამედროვე მედიცინის მეცნიერებათა მიღწევების გაცნობაში, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

რ. სიგუა,
ო. ღლონტი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები.

ᲡᲐᲐᲖᲐᲚᲬᲚᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ნაძვისხეების გამორჩენა მოახლოებული ახალი წლის პირველი ნიშანია. თვალს ახარებს ნარფერად მორთული ნაძვისხეები მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების საწარძოთა ვიტრინებში.

ამ დღეებში თბილისისაკენ მომავალ გზებზე კოლონებად მოდიან ავტომანქანები. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ქალაქის ბაზრებზე გზავნიან სხვადასხვა სურსათ-სანოვაგეს. გაცხოველებული ვაჭრობაა პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში. უხვი და ბარაქიანი დახლები. წითელი ბოლოკი, ქორფა მწვანე კიტრები, ზუმუშტისფერი მწვანილი, ქარვისფერი ვაშლები, ნარინჯისფერი ხურმა... უხვადაა ხორცი, ფრინველი, ყველი. ბაზარი ამ დღეებში თბება. ეს იმ ზრუნვის ერთ-ერთი დეტალია, რომელსაც მეიდველებისა და ჩამოსული კოლმეურნეებისადმი იჩენენ.

— თუ კარგად მივიდგებთ და მოვაწყობთ ხალხს, — თქვა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს საკოლმეურნეო ვაჭრობის განყოფილების გამგემ ვ. მირიანაშვილმა, ბაზარში სხვებიც სამოვნებით ჩამოვლენ. პირველი მაისის რაიონის ბაზარს აქვს 75 საწოლი ადგილი სასტუმრო, დღისა და ბავშვის ოთახი, პროდუქტები ინახება საწყობში, მაცივარში. საახალწლო ფაბრობისათვის გამყიდველებს დამატებით გაუმზადეს ათასი ადგილი. საახალწლო დღეებში აქ სურსათ-სანოვაგე რესპუბლიკის შვიდი რაიონის ოცდახუთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შემოაქვს.

26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში საახალწლო ვაჭრობისათვის გაიხსნა სპეციალური პავილიონები, სადაც სურსათი მოაქვთ წითელწყაროს რაიონის სოფლების ზემოქედისა და არსიოლსკაროს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობებს.

კიროვის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში № 3 პროდუქტების მაღაზიის ვიტრინებს ტანწურწუტა ნაძვისხეები ამშვენებს. მაღაზიაში შემოღებულია მყიდველებისათვის მოსასერხებელი მომსახურების ფორმები. აქ არის წინასწარი შეკვეთის მაგიდა. კიროვის სახელობის რაიონის ბაზრის შუშაკებმა ახალი ხელშეკრულებანი დაუდეს კასპის, ცხაკაიას, ჯორიისა და თელავის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საახალწლო ვაჭრობისათვის პროდუქტების დიდი პარტიების შემოტანის თაობაზე.

საკოლმეურნეო ვაჭრობის განყოფილებასთან შექმნილია საახალწლო დღეებში ვაჭრობის ხელმძღვანელობის შტაბი. (საქინფორმი).

მუშაობლიური პეიზაჟები



თოვლის „ძოლვა“. ადიგენში პირველი თოვლი მოვიდა.
ა. შარულავას ფოტო.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

კალათბურთი. მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“ სარეკორდო ანგარიშით — 115:50 დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „სტალი“. ათ უმაღლესი ლიგის ქალთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის დანარჩენი შედეგები: სვერდლოვსკის „ურალმაში“ — ალმა-ათის „უნივერსიტეტი“ — 67:72, მოსკოვის „დინამო“ — ტაშკენტის სეფი-ი — 79:52, რიგის ტტტ — ლენინგრადის „ბუერევესტნიკი“ —69:54, ლენინგრადის „სპარტაკი“ — ფრუნზეს „სტროიტელი“ — 83:57. ჩემპიონატს კვლავინდებურად ლიდერობს ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი — რიგის ტტტ, რომელსაც 9 თამაშის შემდეგ 9 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ლენინგრადის „სპარტაკი“ — 8 ქულა.

შაში. ამსტერდამში მიმდინარეობს სამი ტურნირი საერთაშორისო შაშში. ერთ მათგანში — მსოფლიოს პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში ქალთა შორის დამაჯერებლად ლიდერობს ორი საბჭოთა ოსტატი — ელენე მიხაილოვსკაია და ირაიდა სპასკაია. თვითეულს 4,5 ქულა აქვს 5 შესაძლებლობიდან.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში წინ არის ჰოლანდიელი ხ. იანსენი — 3,5 ქულა 4 შეხვედრიდან. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ვილნიუსელი ედვარდ ბუეინსკი. გროსმაისტერთა საახალწლო ტურნირში წარმატებით გამოდის ხენგალელი ბაბაესი. მას 5 შესაძლებლობიდან 4 ქულა აქვს. ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ საბჭოთა გროსმაისტერ ისერ კუპერმანს და ჰოლანდიელ ხარმ ვირსმაას.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲪᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲚᲔᲒᲔᲑᲘ

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-ᲖᲐ“-ის 35-ე ტირაჟის შედეგები. ტირაჟი გაიმართა 20 დეკემბერს.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო. ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მათი მოგების თანხაა 4.652 მანეთი (99 ბარათი); ოთხი ნომერი — 67 მანეთი (6.844 ბარათი), სამი ნომერი — 4 მანეთი (151.302 ბარათი).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აქაც ვერავინ ვერ გამოიცნო; ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მათი მოგების თანხაა 5.000 მანეთი (19 ბარათი); ოთხი ნომერი — 173 მანეთი (1.236 ბარათი); სამი ნომერი —5 მანეთი (35.285 ბარათი).

35-ე ტირაჟის მოგებათა განაღდებას აწარმოებენ შემახვეული ალაბრები 1975 წლის 1-დან 30 იანვრის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი გაიმართება 1974 წლის 30 დეკემბერს. (საკინფორმი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

როგორც ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა (ბრაზილია) ბუენოს აირესში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის ფინალის ადგილი. ფინალური თამაშები გაიმართება 1-25 ივნისს.

ეკონომიურმა კრიზისმა, ბილეთების ფასის მომატებამ და იტალიელი ფეხბურთელების მარცხმა უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში მკვეთრად იმოქმედა მაყურებელთა რიცხვზე.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ მხოლოდ ჩემპიონატის პირველ 4 ტურზე მოვიდა 109.384 მაყურებლით უფრო ნაკლები, ვიდრე შარშან.

ᲢᲔᲚᲔᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲠᲘᲠᲘᲓᲐ წლის წინათ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტულმა განყოფილებამ კარგი ღონისძიება წამოიწყეს. საქმე ეხება ტელეტურნირს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს მიეძღვნა და მიზნად ისახავს მშობ ახალი კომპოზიციის პროპაგანდას.

ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა სოფლის სპორტმსენთა ეს ბაქრობა, და აი დასკვნითი ეტაპი. იგი შედგება 29 დეკემბერს 19 საათსა და 50 წუთზე. საქართველოს ტელევიზია გადასცემს ავტორიტეტული ჟიურის მიერ შერჩეული ორი საუკეთესო კოლექტივის საგარეჯოსა და ხაშურის რაიონების გადამწყვეტ შეჯვედრას.

ტელეტურნირის შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 65-მა რაიონმა. ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად ეწყობა შესარჩევი ასპარეზობები. სულ ამ მასობრივ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 6.000 კაცი. ჟიურის წევრებად მოწვეული იყვნენ სპორტის ვეტერანები, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული მუშაკები.

ტელეტურნირის განვლილმა შეხვედრებმა სოფლის სპორტულ ცხოვრებაში სასარგებლო კვალი დატოვა. სასურველია ასეთ ღონისძიებათა პოპულარიზაცია, დანერგვა.

პ. პატარაძალიშვილი.

ᲙᲘᲗᲮᲘᲚ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲘ

ᲐᲕᲘᲝᲠᲔᲙᲐᲕᲨᲘᲡ რკინიგზის სამმართველომ გაითვალისწინა მშრომელთა სურვილები და საახალწლო დღესასწაულისათვის დანიშნა მთელი რიგი დამატებითი სამგზავრო მატარებლები.

ჩვეულებრივი შემადგენლობების გარდა, როგორც საქინფორმის კორეს-პოდენტს აცნობეს მაგისტრალის სამგზავრო სამსახურში, დანიშნულია № 264 დამატებითი მატარებელი თბილისი-სოჭი. იგი შედგესის სადგურიდან გავა 18 საათსა და 5 წუთზე მოსკოვის დროით 27 და 29 დეკემბერს, ანალოგიურ 1975 წლის 1, 3, 5, 7, 9 და 11 იანვარს, № 168 დამატებითი მატარებელი თბილისი-მოსკოვი თბილისიდან გავა 17 საათსა და 5 წუთზე 26 დეკემბერსა და მომავალი წლის 8 იანვარს. 27 დეკემბრიდან 9 იანვრამდე რვა რეისს გაკეთებს № 50 დამატებითი მატარებელი გაგრა-მოსკოვი, სამ რეისს — № 86 მატარებელი სოხუმი-მოსკოვი. № 210 მატარებელი თბილისი-ბათუმი თბილისიდან გავა 30 დეკემბერს 19 საათსა და 40 წუთზე.

დანიშნულია აგრეთვე დამატებითი მატარებელი ერევანი-მოსკოვი, რომელიც შედგენის სადგურიდან გავა 29 დეკემბერსა და 7 იანვარს.

საახალწლო დღესასწაულისა და მოსწავლეთა არდადეგების დღეებში დანიშნულია აგრეთვე ბევრი ტურისტული მატარებელი. 30 დეკემბერს რესპუბლიკის დედაქალაქიდან გავა, მაგალითად, ტურისტული მატარებელი „თბილისი“, ივლისს აგრეთვე ეგრეთწოდებული „საბავშვო მატარებლები“ თბილისი-როსტოვი, ერევანი-მოსკოვი და სხვ. ექსკურსიანტები ეწვევიან მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, მინსკს, ბრესტს, კალინინგრადს და ჩვენი ქვეყნის სხვა უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს, დაათვალიერებ ენ ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ ადგილებს, მონაწილეობას მიიღებენ საახალწლო დღესასწაულებსა და კარნავალებში.

(საქინფორმი).

შემოხვევა

ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲢᲐᲪᲔᲡ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). ბავშვები რიონის პირზე თამაშობდნენ, მეხუთეკლასელი, თერმეტი წლის გია შიმშილაშვილს ფეხი დაუცდა და ტალღებმა ჩაითრიეს.

თანაკლასელი მალხაზ ჯაფარიძე არ შეუშინდა სტიქიას და გაბედულად გადაეშვა მდინარეში. იგი ხულ მალე სწვდა მეგობარს, მაგრამ მისი ნაპირზე გამოყვანა გაუჭირდა. ორივე — წყალწყალებული და მშველელიც დიდ განცდელში ჩავარდნენ.

ვინ იცის რა ტრაგედია დატრიალებოდა, ამ საბედისწერო შემთხვევას ღების ქვის კარიერის თანამშრომელი ო. გავაშელიშვილი რომ არ წასწრებოდა. მდინარეში შეცურა და ორივე ბავშვი ნაპირზე გამოიყვანა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲑᲠᲐᲚᲘ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲨᲔᲛᲔᲜᲐᲮᲐᲕᲘᲡᲐ

ᲩᲕᲔᲜ რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია ავტოტრანსპორტის გატაცების შემთხვევები, ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეხუბარა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსს, მილიციის პოლკოვნიკ რ. თუშურაშვილს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება რესპუბლიკაში ავტო-მოტოტრანსპორტის გატაცების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

— სპეირა აღინიშნოს, რომ თანახმად გზებზე მოძრაობის წესებისა, ყველა მძღოლი ვალდებულია: მხოლოდ იმ პირობით მიატოვოს სატრანსპორტო საშუალება, თუ მიღებულია სიფრთხილის აუცილებელი ზომები, რომლებიც გამორიცხავენ სატრანსპორტო საშუალებათა თვითნებურ მოძრაობას და მის გამოყენებას მძღოლის არყოფნისას. მაგრამ ბევრი მძღოლი უგულებელყოფს გზაზე მოძრაობის წესების ამ პუნქტს, და სწორედ ამიტომაც მიმდინარე წელს გატაცებული ავტომობილები და მოტოციკლების უმრავლესობა ინდივიდუალურ მფლობელებს ეკუთვნოდათ. ავტომობილების გატაცების მიზანი სხვადასხვაა: მანქანის მოპარვა რეალიზაციის ან მითვისების თვალსაზრისით, გაქურდვა და უფრო ხშირად ავტომობილით სეირნობა, რასაც როგორც წესი, მოზარდები ან მთვრალები სჩადიან.

14 ნოემბერს, ღამის ცხრა საათზე თბილისში, ლენინის მოედანზე ავტოინსპექციის მუშაკებმა დაიკავეს ავტომანქანა „ვოლგა“ (№ 90-26 გრუ). მას მართავდა თბილისის მოგზაურობისა და საექსკურსიო ბიუროს ჯგუფის ხელმძღვანელი ივერ მალხაზოვი, რომელიც მთვრალი უჯდა საჭეს. როგორც შემდგომ გამოირკვა, ავტომობილი, რომელიც ეკუთვნოდა „ცეკავშირს“ გამგეობას, გაეტაცებინა მთვრალ მალხაზოვს და თბილისის ქუჩებში დასავარდობდა.

10 ნოემბერს კი ცხინვალელ მირზა ცხოვრებოვს ეზოდან მოპარეს „მოსკვიჩი-412“ (№ 17-97 გრი). უსაქმურ ოთარ ბოლოთაევს, ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეს დავით ტატიშვილს და სოფელ ტყვიავის კოლმეურნეს გივი გიგუაშვილს გატაცებული ავტომობილი ჯავის რაიონის სოფელ ერწოს ერთ-ერთ ხევში გადაემალათ და ნაწილ-ნაწილ შლიდნენ, რათა შემდგომ სათადარიგო ნაწილებად გაეყიდათ. მილიციის მუშაკები მაშინ წაადგნენ თავს მძარცველებს, როდესაც ავტომობილზე უკანასკნელი ნაწილებს ხსნიდნენ.

8 აგვისტოს თბილისში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2663 ავტოკოლონის მძღოლმა გიზო არზიანმა გაიტაცა მშენებლობის სამინისტროს პარკეტით დატვირთული 4-ტონიანი სატვირთო ავტომობილი, დანამუალის კვალი რომ დაეფარა, არზიანმა უხეშად დაარღვია ქუჩაში მოძრაობის წესები, ანაგის ქუჩაზე ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოობა და დაჯახა ორ მოქალაქეს. ერთ-ერთი, ონის რაიონელი საავადმყოფოს ექიმი ქალი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორე — თბილისის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე გოგონა მძიმედ დაშავდა. მოქალაქეებზე ავტომობილის დაჯახების შემდეგ გზაანეულმა გამტაც